



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010126552456318

08 / ნოემბერი / 2018 წ.
1258/ს

სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (სოჭის და ნაძვის ჯიშის I; II; III და IV ხარისხის მრგვალი ხე-ტყე (მორი) – სულ 163.42 - მ3) საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N391) გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46¹-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 15 იანვრის დასკვნის N5000210818, სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2018 წლის 02 ნოემბრის N13/43575 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N391 სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ მესტიის სატყეო უბნის, ჯორჯვალის სატყეოს N51 კვარტალში ,(ლიტერი 5) სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული 163.42 მ³ წიწვოვანი სახეობის (სოჭის და ნაძვის ჯიშის I; II; III და IV ხარისხი) მერქნული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.


2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტს (გ.ხაბეიშვილი) სსიპ “საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს”, ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურს (ბ.კიწმარიშვილი) სსიპ “ეროვნული სატყეო სააგენტოს”, ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის
მოადგილე



გრიგოლი ბლიაძე